

1. როგორ დავრეგისტრირდეთ საიტზე?

საიტზე დასარეგისტრირებლად:

- უნდა დააჭიროთ ღილაკს „რეგისტრაცია“
- შეავსოთ იქ არსებული ყველა აუცილებელი ველი სწორად და ზუსტად
- მიუთითეთ პირადი ელ. ფოსტა და მობილური ტელეფონის ნომერი, მეილი აუცილებელია რეგისტრაციის დასრულებისთვის;
- ზუსტად შეავსოთ სახელი, გვარი, პირადი ნომერი, რადგან აუქციონზე გამარჯვების შემთხვევაში თქვენ მოგეთხოვებათ პირადობის წარდგენა მანქანის წასაყვანად.

რეგისტრაციის დასრულების შემდეგ თქვენს მიერ მიუთითებულ მობილური ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით სისტემა აგზავნის აქტივაციის კოდს, რომელიც აქტიურია 5 (ხუთი) წუთის განმავლობაში. აღნიშნული კოდის მომხმარებლის მიერ შესაბამის ველში შეყვანის შემდეგ სრულდება რეგისტრაციის პროცესი, რის შემდგომაც თქვენ შეძლებთ შეხვიდეთ საიტზე თქვენს მიერ არჩეული „მომხმარებელით“ და პაროლით. გახსოვდეთ, რომ რეგისტრაციის დასრულებისთვის საჭიროა დაეთანხმეთ წესებს და პირობებს.

2. რატომ მთხოვს ბალანსის შევსებას აუქციონში მონაწილეობის მიღებისთვის?

იმისათვის, რომ დავიცვათ მომხმარებლები ყალბი მყიდველებისგან (რომლებიც მონაწილეობენ აუქციონში, ზრდიან ფასს და შემდეგ არ ყიდულობენ მანქანას) აუქციონში მონაწილეობის მისაღებად კომპანიამ დააწესა მინიმალური შენატანი 300,00 (სამასი) ლარი, თანხა არ წარმოადგენს კომპანიის საკუთრებას და მომხმარებელს შეუძლია გაიტანოს უკან ჯარიმის გარეშე. კომპანია უფლებას იტოვებს დააჯარიმოს მომხმარებელი და ჩამოაჭრას ეს თანხა თუ ის არ შეასრულდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებს.

3. როგორ შევავსო ბალანსი?

ბალანსის შესავსებად გთხოვთ მიხვიდეთ საქართველოს ბანკის ნებისმიერ ფილიალში ან „აღდაგის“ სალაროში და შეიტანოთ თანხა GE78BG000000121230200 ანგარიშზე. გთხოვთ, აუცილებლად მიუთითოთ დანიშნულებაში მომხმარებლის პირადი ნომერი. წინააღმდეგ შემთხვევაში კომპანია ვერ შეძლებს თქვენი ჩარიცხული თანხის ასახვას თქვენს ბალანსზე. თანხის ასახვა მომხმარებლის პროფილში მოხდება 1 სამუშაო დღეში.

4. როგორ უნდა გავიტანო მინიმალური შენატანი და რა შემთხვევაში არ მაქვს ამის უფლება?

თანხის გასატანად უნდა მიბრძანდეთ სადაზღვევო კომპანია აღდაგის სალაროში შემდეგ მისამართებზე: თბილისი: ჭავჭავაძის გამზირი №20, ყაზბეგის გამზირი №25; ბათუმი: მემედ აბაშიძის №1. გთხოვთ თან იქონიოთ პირადობის დამადასტურებელი საბუთი, რომელსაც აწერია პირად ნომერი. თანხის გატანის უფლება არ გაქვთ თუ თქვენ მონაწილეობთ მიმდინარე აუქციონში ან მოგებული გაქვთ აუქციონი, მაგრამ გადახდილი არგაქვთ მანქანის საფასური

5. რა მდგომარეობაშია მანქანა?

აუქციონზე წარმოდგენილია მანქანის სურათები და დეტალური აღწერა. დამატებით ინფორმაციისთვის თქვენ შეგიძლიათ თავად ნახოთ მანქანა მისამართზე: ქ.თბილისი, დილომი, როსტეკვანის I შესახვევი, #7, თბილისის საქალაქო სასამართლოსა და ტოიოტა ცენტრი თბილისის მიმდებარე ტერიტორია - აკამოტორსი, ან საიტზე მითითებულ მისამართზე.

6. რა არის ავტობიდერი?

თუ მომხმარებელი დაინტერესებულია მანქანით, მაგრამ ვერ ხვდება კომპიუტერთან რომ გაუწიოს კონკურენცია მეტოქეებს, მას შეუძლია დააყენოს ავტობიდერი, ბიდების ავტომატურ რეჟიმში განთავსება, რომელიც მასში მითითებულ თანხამდე მინიმალური ბიჯით გაზრდის კონკურენტის მითითებულ ფასს. ეს საშუალებას მისცემს მომხმარებელს დაზოგოს თანხა და მოიგოს აუქციონი მინიმალურ შესაძლებელ ფასად.

7. აუქციონის დასრულებამდე 1 წუთით ადრე გავზარდე ფასი, მაგრამ აუქციონი კიდევ 10 წუთს გაგრძელდა. რატომ?

აღდაგი აძლევს საშუალებას მომხმარებელს არ წააგოს აუქციონი მექანიკური დაყოვნების გამო. თუ აუქციონის დასრულებამდე დარჩენილია 5 წუთზე ნაკლები, ბოლო განაცხადის დროს გადასწევს 10 წუთით. ეს მომხმარებელს საშუალებას აძლევს მშვიდად გააკეთოს არჩევანი და მცირე უყურადღებობის გამო არ წააგოს აუქციონი.

8. აუქციონის ძებნაში ზოგიერთი მანქანა თეთრი ფერითაა ჩამონათვალში, ხოლო ზოგი ნაცრისფერით. რატომ?

თეთრი ფერითაა მონიშნული ის მარკები რომლებიც მონაწილეობენ მიმდინარე აუქციონში, მომხმარებელს შეუძლია მოძებნოს ასევე ვადაგასული აუქციონები რაიმე ტიპის ინფორმაციის მისაღებად.

9. რას ნიშნავს ღილაკი „საინტერესო აუქციონებში დამატება“?

ამ ღილაკის მონიშვნით, მანქანა აღმოჩნდება თქვენს პროფილში -საინტერესო აუქციონებში და მასზე ბიდის გაკეთება თქვენ მოგივთ შეტყობინებად. ეს საშუალებს მოგცენთ შეხვიდეთ თქვენს პროფაილში და თვალი გადაავლოთ თქვენთვის საინტერესო ლოტებს.

10. მაქვს კითხვები აუქციონის ან კონკრეტული მანქანის თაობაზე, ვის მივმართო?

შეგიძლიათ დარეკოთ აღდაგის ქოლ-ცენტრში ტელეფონზე 2 444 999 , დატოვოთ თქვენი ნომერი და აუცილებლად დაგიკავშირდებიან.

11. რატომ ვერ ვაკორექტირებ ბიდს?

ხანდახან მომხმარებელი თანხის შევსებისას უშვებდა შეცდომას და წერდა არარეალურ თანხას, რაც სხვა მომხმარებელს უსპობდა შანსს მიეღო მონაწილეობა აუქციონში. ახალი სქემით, საიტი ავტომატურად სთავაზობს მომხმარებელს მინიმალურ შესაძლებელ ბიდს. მომხმარებელს შეუძლია "+" და "-" ღილაკების მეშვეობით გაზარდოს და შეამციროს თანხა 1 ბიჯით.